

დადგენილება № ცვ-0800-20
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

9 ივლისი, 2020 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის იურისტი ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2020 წლის 9 ივლისი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ირაკლი ნებიერიძე, პირადი № 01019053674, დაბ. 1989 წლის 24 აპრილს, მის. ხაშურის რ-ნი, სოფ. ქვიშხეთი, ფაქტ. მის. ზესტაფონის რ-ნი, სოფ. ქვედა საქარა.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2020 წლის 30 ივნისს, ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საქარაში, აბონენტ ემზარ ნებიერიძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება, რაც გამოიხატება მასში, რომ აბონენტი 2020 წლის 2 ივნისს დავალიანების გამო გათიშული იყო ქსელიდან, რა დროსაც მრიცხველის ჩვენება იყო 1456, ხოლო 30 ივნისს გადამოწმების დროს, მრიცხველი აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები ირაკლი ნებიერიძის მიერ ჩართული იყო თვითნებურად და დაფიქსირდა წინწაწეული ჩვენება 1466, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმ დღესვე შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება დავალიანების სრულად დაფარვამდე. ირაკლი ნებიერიძის მიმართ 07.07.2020წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას №008421 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობას და განმარტავს, რომ მომავალში ასეთი ფაქტი აღარ განმეორდება და ითხოვს ჩაეთვალოს საპატიოდ. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. ირაკლი ნებიერიძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 30.06.2020წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № A643493 და აბონენტის ბარათი, რომლებითაც დასტურდება ირაკლი ნებიერიძის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი), რომელთა მეშვეობით დგინდება ირაკლი ნებიერიძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლს პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა და 240-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც ირაკლი ნებიერიძემ მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 18.09.2008 წ. №20 დადგენილების მე-8 მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 17.09.2010 წ. RU №2010009 წესით, 26.06.2019 წ. OR №2019034 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი ირაკლი ნებიერიძე, პირადი № 01019053674, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,
კომისიის თავმჯდომარე